

## საქართველოს კანონი

### დნმ-ის მონაცემთა ბაზის შესახებ

#### **მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო და მიზანი**

1. ეს კანონი განსაზღვრავს დნმ-ის მონაცემთა ბაზის შექმნისა და ფუნქციონირების საფუძვლებსა და პირობებს.
2. ამ კანონის მიზანია გენეტიკური პროფილის შენახვით დანაშაულის პრევენციის, დანაშაულის გახსნისა და გამოძიების, აგრეთვე, დაკარგულ პირთა იდენტიფიკაციის ხელშეწყობა.

#### **მუხლი 2. ტერმინთა განმარტება**

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) **ბიოლოგიური ნიმუში** – ადამიანის ან გვამის ქსოვილის ან ორგანოს ნაწილი ან/და ორგანიზმის გამონაყოფი/სითხე, რომლის უჯრედები შეიცავს დეზოქსირიბონუკლეინის მჟავას (დნმ);
- ბ) **ბიოლოგიური ნიმუშის პროფილირება** – საექსპერტო ტექნოლოგიის გზით, ბიოლოგიური ნიმუშიდან გენეტიკური პროფილის განსაზღვრა;
- გ) **გენეტიკური პროფილი** – დნმ-ის გენეტიკური ანალიზის შედეგად მიღებული, კომპიუტერულად დამუშავებული უნიკალური და მუდმივი მონაცემი, რომელიც იძლევა პირის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას;
- დ) **დნმ-ის მონაცემთა ბაზა** – საჯარო სამართლის იურიდიულ პირ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში შექმნილი მონაცემთა ბაზა, რომელშიც ინახება ამ კანონის შესაბამისად განსაზღვრული გენეტიკური პროფილი;
- ე) **ბიურო** – საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო;
- ვ) **სამინისტრო** – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

#### **მუხლი 3. ბიოლოგიური ნიმუშის პროფილირებას დაქვემდებარებული პირები**

1. სავალდებულოა ბრალდებულ/მსჯავრდებულ პირთა ბიოლოგიური ნიმუშის პროფილირება დნმ-ის მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის მიზნით.
2. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, დნმ-ის მონაცემთა ბაზაში აისახება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ეტაპზე ფიზიკური პირისგან, გვამისგან, შემთხვევის ადგილიდან ან სხვა მატერიალური საგნიდან განსაზღვრული გენეტიკური პროფილები.
3. დასაშვებია ნებისმიერი პირის გენეტიკური პროფილის მისივე თანხმობით დნმ-ის მონაცემთა ბაზაში რეგისტრაცია. ამ პირის ბიოლოგიური ნიმუშის აღებასა და გენეტიკური პროფილის განსაზღვრას უზრუნველყოფს სამინისტრო ან ბიურო. ამ პირთა გენეტიკური პროფილის დნმ-ის მონაცემთა ბაზაში შენახვის ვადა და ბაზიდან მისი წაშლის წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

#### **მუხლი 4. ბიოლოგიური ნიმუშის აღება**

1. ბიოლოგიური ნიმუშის აღების უფლებამოსილება აქვს:

- ა) ბიუროს უფლებამოსილ თანამშრომელს;
- ბ) სამინისტროს უფლებამოსილ თანამშრომელს;
- გ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის (შემდგომ – სპეციალური პენიტენციური სამსახური) უფლებამოსილ თანამშრომელს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილი თანამშრომელი არის ბიუროში/სამინისტროში დასაქმებული ექსპერტი ან ბიუროს/სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის მიერ გადამზადებული სხვა თანამშრომელი.

3. გენეტიკური პროფილის განსაზღვრისა და დნმ-ის მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის მიზნით, სპეციალური პენიტენციური სამსახური ბიოლოგიურ ნიმუშს, მისი აღებიდან არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა უგზავნის სამინისტროს ან ბიუროს.

4. ბიოლოგიური ნიმუშის აღების, გენეტიკური პროფილის განსაზღვრისა და დნმ-ის მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის მიზნით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირები – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო და აღსრულების ეროვნული ბიურო, კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფენ მსჯავრდებულთა სამინისტროში ან ბიუროში წარდგენის ხელშეწყობას, საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესით.

5. უფლებამოსილი თანამშრომელი ადგენს ბიოლოგიური ნიმუშის აღების ოქმს, რომელშიც აისახება:

- ა) ბიოლოგიური ნიმუშის პროფილირებას დაქვემდებარებული პირის მონაცემები (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და პირადი ნომერი);
- ბ) ბიოლოგიური ნიმუშის აღების თარიღი;
- გ) ბიოლოგიური ნიმუშის აღების განმახორციელებელი უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი და გვარი;
- დ) სისხლის სამართლის საქმის ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ე) ბიოლოგიური ნიმუშის პროფილირებას დაქვემდებარებული პირის თანხმობა ბიოლოგიური ნიმუშის აღებაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ვ) ოქმის შედგენისთვის აუცილებელი სხვა რეკვიზიტები.

#### **მუხლი 5. ბიოლოგიური ნიმუშის განმეორებით აღება**

1. თუ აღებული ბიოლოგიური ნიმუში არ აღმოჩნდა საკმარისი ან/და მისგან გენეტიკური პროფილის განსაზღვრა შეუძლებელია, ბიოლოგიური ნიმუშის განმეორებით აღება ხორციელდება ამ კანონით დადგენილი წესით.

2. თუ პირის გენეტიკური პროფილი რეგისტრირებულია დნმ-ის მონაცემთა ბაზაში, ბიოლოგიური ნიმუშის განმეორებით აღება არ ხორციელდება.

#### **მუხლი 6. დნმ-ის მონაცემთა ბაზის დამუშავების ძირითადი წესები**

1. გენეტიკური პროფილის განსაზღვრასა და დნმ-ის მონაცემთა ბაზაში მის რეგისტრაციას უზრუნველყოფენ ბიურო და სამინისტროს უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეული.

2. დნმ-ის მონაცემთა ბაზაში დაცული გენეტიკური პროფილის შესახებ ინფორმაცია აისახება სამინისტროს საინფორმაციო ბაზაში, რომელზეც ბიოლოგიური ნიმუშის განმეორებით აღების

თავიდან აცილების მიზნით, წვდომის უფლება აქვთ საგამომიებო ორგანოების, სპეციალური პენიტენციური სამსახურისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილ თანამშრომლებს.

3. გენეტიკური პროფილის სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისათვის გადაცემა ხორციელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების, ინდივიდუალური შეთანხმების ან ნაცვალგების პირობების საფუძველზე, თუ შემოსულია კომპეტენტური ორგანოს შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ.

4. დანაშაულის პრევენციის, დანაშაულის გახსნისა და გამოძიების, აგრეთვე, დაკარგულ პირთა იდენტიფიკაციის მიზნით დასაშვებია სხვა ქვეყნის სახელმწიფო უწყებების მიერ დამუშავებული გენეტიკური პროფილის გამოთხოვა და დნმ-ის მონაცემთა ბაზაში მათი ასახვა.

5. ბიოლოგიური ნიმუშის აღების, განადგურების, ბიოლოგიური ნიმუშის პროფილირების, მონაცემთა დამუშავებისა და გაცვლის, მათ შორის, გენეტიკური პროფილის შენახვის ვადის ათვლის წესი, აგრეთვე, „დნმ-ის მონაცემთა ბაზის შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულებისთვის საჭირო სხვა ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

#### **მუხლი 7. ბიოლოგიური ნიმუშისა და გენეტიკური პროფილის შენახვისა და განადგურების წესი**

1. ბიოლოგიური ნიმუში ნადგურდება გენეტიკური პროფილის შექმნისთანავე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ბიოლოგიური ნიმუში აღებულია საგამომიებო ან სხვა საპროცესო მოქმედების ჩატარების შედეგად და წარმოადგენს სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულებას. მტკიცებულების შენახვის/განადგურების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად.

2. გენეტიკური პროფილი ინახება შემდეგი ვადით:

ა) მსჯავრდებულის:

ა.ა) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის – 75 წლით;

ა.ბ) მძიმე დანაშაულისთვის – 50 წლით;

ა.გ) ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის – 30 წლით;

ა.დ) დანაშაულის რეციდივისთვის – 75 წლით;

ბ) არასრულწლოვანი მსჯავრდებულის:

ბ.ა) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის – 30 წლით;

ბ.ბ) მძიმე ან ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის – 10 წლით;

ბ.გ) დანაშაულის განმეორებით ჩადენისთვის – 75 წლით.

3. ბრალდებული პირის გენეტიკური პროფილი აისახება დნმ-ის მონაცემთა ბაზაში და პირის მსჯავრდების შემთხვევაში ინახება ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ვადით.

4. გამამართლებელი განაჩენის გამოტანის ან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში პირის გენეტიკური პროფილი იშლება საბოლოო, შემაჯამებელი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისთანავე.

5. ამ კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გენეტიკური პროფილი ინახება სისხლის სამართლის საქმეზე საბოლოო, შემაჯამებელი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 10 წლის ვადით.

6. პირის გარდაცვალების შემთხვევაში მისი გენეტიკური პროფილი ინახება გარდაცვალებიდან 10 წლის ვადით, თუ გენეტიკური პროფილის შენახვის ამ კანონით დადგენილი ვადა არ არის გასული.
7. დნმ-ის მონაცემთა ბაზაში გენეტიკური პროფილის შენახვის ვადა აითვლება საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული წესით.

#### **მუხლი 8. გარდამავალი დებულებები**

1. ამ კანონის ამოქმედებამდე ბიუროს მიერ განსაზღვრული გენეტიკური პროფილები ინახება დნმ-ის მონაცემთა ბაზაში, კანონის ამოქმედებიდან 10 წლის ვადით. ამ ვადის გასვლის შემდეგ, გენეტიკური პროფილი დნმ-ის მონაცემთა ბაზიდან იშლება პირის მოთხოვნის საფუძველზე.
2. 2025 წლის 1 იანვრამდე ბიურომ უზრუნველყოს დნმ-ის მონაცემთა ბაზის შექმნისთვის საჭირო ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების განხორციელება.
3. 2025 წლის 1 იანვრამდე სამინისტროს წარდგინებით საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს ბიოლოგიური ნიმუშის აღების, განადგურების, ბიოლოგიური ნიმუშის პროფილირების, მონაცემთა დამუშავებისა და გაცვლის, მათ შორის, გენეტიკური პროფილის შენახვის ვადის ათვლის წესის დამტკიცება, აგრეთვე, „დნმ-ის მონაცემთა ბაზის შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულებისთვის საჭირო სხვა ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხების განსაზღვრა. სამინისტრო საქართველოს მთავრობისთვის წესის წარდგენას უზრუნველყოფს ბიუროსთან შეთანხმებით.
4. 2027 წლის 1 იანვრამდე სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა უზრუნველყოს 2025 წლის 1 იანვრისთვის პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ბიოლოგიური ნიმუშების აღება და გენეტიკური პროფილის განსაზღვრისა და დნმ-ის მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის მიზნით სამინისტროსთვის/ბიუროსთვის მათი გადაცემა.
5. ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება მსჯავრდებულზე, რომლის მიმართ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების ან პრობაციის ქვემდებარე სამართლებრივი აქტის, აგრეთვე, ჯარიმის აღსრულება 2025 წლის 1 იანვრამდე დაიწყო.

#### **მუხლი 9. კანონის ამოქმედება**

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი-მე-7 მუხლებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. ამ კანონის პირველი-მე-7 მუხლები ამოქმედდეს 2025 წლის 1 იანვრიდან.